



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

19 დეკემბერი 2012 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 261

„სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის საშუალებით განხორციელების მიზნით სატენდერო კომისიის შექმნის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2010 წლის 10 დეკემბრის №133 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შევიდეს ცვლილებები „სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის საშუალებით განხორციელების მიზნით სატენდერო კომისიის შექმნის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2010 წლის 10 დეკემბრის №133 ბრძანებაში და ბრძანების 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით შეიქმნას სატენდერო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
კომისიის თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

კომისიის წევრები:

კონსტანტინე შარაშენიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

ავთანდილ მექვაბიშვილი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

თამაზი სალუქვაძე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, ინფრასტრუქტურის და ურბანიზაციის კომისიის თავმჯდომარე;

ამირან გირკელიძე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ღაშა თავადე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების, საორგანიზაციო და იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი;

თემური მურვანიძე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსი;“

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, სიორიძის ქ.№14).

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი